საიდ. N80012/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №137-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ - „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი, ი. გიქორაშვილი, მ. ჭიჭინაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით, განიხილა კომპანიის „ჩაინა იუნიონფეი კო., ლტდ.“ (CHINA UNIONPAY CO., LTD.) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №137-03/15), რომლითაც მოითხოვება „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 16 ივლისის N1237/03 ბრძანების ბათილად ცნობა, რომლითაც სასაქონლო ნიშანზე „უნიფეი Unipay Унипеи“ (საიდ. N80012/03) მიღებულ იქნა დადებითი გადაწყვეტილება შპს „უნიფეის“ სახელზე მე-9, 35-ე და 36-ე კლასების განცხადებული საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალის მიმართ რეგისტრაციის თაობაზე.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, შესაგებელი, ექსპერტიზის გადაწყვეტილება და მოისმინა რა მხარეთა ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

აპელანტი კომპანია „ჩაინა იუნიონფეი კო., ლტდ.“ (CHINA UNIONPAY CO., LTD.) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

სასაქონლო ნიშნის „უნიფეი Unipay Унипеи“ (საიდ. N80012/03) რეგისტრაციის შესახებ დადებითი გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება კანონს, ვინაიდან არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შედარებითი საფუძველი. კერძოდ, აპელანტი განმარტავს, რომ სასაქონლო ნიშანი „უნიფეი Unipay Унипеи“ (საიდ. N80012/03) მსგავსია კომპანიის „ჩაინა იუნიონფეი კო., ლტდ.“ (CHINA UNIONPAY CO., LTD.) სახელზე მე-9 და 36-ე კლასების მსგავსი საქონლისათვის საქართველოში უფრო ადრინდელი პრიორიტეტით დაცული სასაქონლო ნიშნებისა - „UNIONPAY“ (IR 838484, საერთ. რეგ. და გავრცელების თარიღი 2004 წლის 19 მაისი) და „UnionPay“ (IR 907897, საერთ. რეგ. და გავრცელების თარიღი 2006 წლის 16 იანვარი). აპელანტის აზრით, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია ვიზუალური, ფონეტიკური და სემანტიკური თვალსაზრისით. ნიშნები მსგავსია ვიზუალურად, რადგან დაპირისპირებული ნიშნების საწყისი და ბოლო ნაწილები იდენტურია - „Uni“ და „Pay“. რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნები დამატებით შეიცავს ორ ლათინურ ასოს - „ON“. დაპირისპირებულ ნიშნებს შორის ვიზუალური განსხვავება უმნიშვნელოა და შესაბამისად, ნიშნები ვიზუალურად აღრევამდე მსგავსია. რაც შეეხება ფონეტიკურ მსგავსებას, სადავო სასაქონლო ნიშანი, გამოითქმის, როგორც „იუნიფეი“, ხოლო რეგისტრირებული ნიშნები გამოითქმის, როგორც „იუნიონფეი“. შესაბამისად განსხვავება არის მხოლოდ ასოებში „ონ“. ასოთა კომბინაცია „UNI“, ინგლისურ ენაში ყოველთვის გამოითქმის, როგორც „იუნი“ და არა როგორც „უნი“. სადავო სასაქონლო ნიშანში ქართული ასოებით და კირილიცაზე მოყვანილი ტრანსლიტერაცია სიტყვიერი ნაწილისა „Unipay“ ნიშანს ვერ ანიჭებს საკმარის განსხვავებას. აპელანტის განმარტებით, ნიშნები მსგავსია სემანტიკურად, რადგან დაპირისპირებული ნიშნების საწყისი

ნაწილები - „UNI“ და „UNION“ მიუთითებენ კავშირზე, შეკრებაზე, გაერთიანებაზე, ერთობლიობაზე და ა.შ. რაც შეეხება დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების დაბოლოებას - „PAY“, იგი ინგლისურიდან ქართულად ითარგმნება, როგორც „გადახდა“. აპელანტის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ „PAY“ პირდაპირ კავშირშია მე-9 და 36-ე კლასების საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალთან, იგი მაინც გათვალისწინებული უნდა იქნეს ნიშნებს შორის მსგავსების დადგენისას, რადგან წარმოადგენს სიტყვის შემადგენელ ნაწილს და მომხმარებლის მიერ აღიქმება „UNI“-სთან და „UNION“-თან კომბინაციაში. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები შეიცავენ საერთო დაბოლოებას „PAY“ რაც წარმოადგენს ნიშნებს შორის მსგავსების გამაძლიერებელ გარემოებას, იმის გათვალისწინებითაც, რომ ნიშნებს აქვს იდენტური საწყისი ნაწილი „UNI“. აპელანტის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთი დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი - „UnionPay“ (IR 907897) ლათინური ასოებით შედგენილ ნაწილთან ერთად შეიცავს ჩინური ასოებით შედგენილ ნაწილს და რომბის გამოსახულებას, ნიშნის დომინანტი ნაწილია ლათინური ასოებით შესრულებული სიტყვიერი ნაწილი „UnionPay“, რადგან ქართველი მომხმარებელი ვერ კითხულობს ჩინური სიმბოლოებით შესრულებულ ნაწილს, ხოლო გამოსახულებითი ელემენტი - რომბი, არ წარმოადგენს სიტყვიერი ნაწილისგან გამოცალკევებულ გამოსახულებას და წარმოადგენს ფონს სიტყვიერი ნაწილისთვის „UnionPay“. გარდა აღნიშნულისა, კომბინირებულ ნიშნებში სიტყვიერ ელემენტებს ყოველთვის უჭირავს დომინანტური მდგომარეობა, ვინაიდან მომხმარებელი პირველ რიგში ყურადღებას აქცევს სიტყვიერ ნაწილს და ამის შემდეგ გამოსახულებით ნაწილს. აპელანტის მითითებით, სადავო სასაქონლო ნიშანი „უნიფეი Unipay Унипеи“ (საიდ. N80012/03) განცხადებულია მე-9 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „სავაჭრო ავტომატები და მექანიზმები აპარატებისათვის წინასწარი გადახდით; სალაროს აპარატები, საანგარიშო მანქანები, ინფორმაციის დასამუშავებელი აღჭურვილობა და კომპიუტერები, მათ შორის და არამხოლოდ: ანგარიშის გამოსაწერი მოწყობილობა, აპარატები

(სალაროს); ბანკომატები; ბარათები (მაგნიტურკოდიანი); ბილეთების გასაყიდი ავტომატები; ინტერფეისები კომპიუტერებისათვის; კომპიუტერის პერიფერიული მოწყობილობა; კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა, ჩაწერილი; კომპიუტერული თამაშების პროგრამები; კომპიუტერული პროგრამები [ჩასატვირთი პროგრამული უზრუნველყოფა]; კომპიუტერული პროგრამები, ჩაწერილი; კომპლექტები ტელეფონისათვის (ხელის გარეშე სასაუბრო); კომუტატორები; კომუტაციის ელექტრული აპარატები; კომუტაციის მოწყობილობები [მონაცემების დასამუშავებელი მოწყობილობები; მაგნიტურკოდიანი ბარათები; მაგნიტურკოდიანი საიდენტიფიკაციო სამაჯურები; მექანიზმები ავტომატებისათვის წინასწარი გადახდით; მექანიზმები ტელევიზორისათვის წინასწარი გადახდით; მეხსიერების ბარათები მიკროპროცესორით [სმარტ-ბარათები]; მონაცემთა დასამუშავებელი მოწყობილობები; პროგრამები (კომპიუტერის ოპერაციული), ჩაწერილი; პროგრამები (კომპიუტერული) [ჩასატვირთი პროგრამული უზრუნველყოფა]; პროგრამები (კომპიუტერული თამაშების); პროგრამული უზრუნველყოფა (კომპიუტერის), ჩაწერილი; სკანერები [ინფორმაციის დასამუშავებელი მოწყობილობა]; სმარტ-ბარათები [მეხსიერების ბარათები მიკროპროცესორით]“ და 36-ე კლასის მომსახურების შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „დაზღვევა; ფინანსებთან დაკავშირებული საქმიანობა; ფულად-საკრედიტო ოპერაციები; უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები, მათ შორის და არამხოლოდ: გადარიცხვა ელექტრონული ანგარიშგების სისტემაში (ფულადი სახსრების); გადაცვლა (ფულის); გამოშვება (საკრედიტო ბარათების); გამოშვება (სამგზავრო ჩეკების); გამოშვება (ფასიანი ქაღალდების); დადგენა (ჩეკების ნამდვილობის); დაფინანსება; თანაზიარი ფონდები; ინვესტირება; კლირინგი; მართვა (ფინანსების); ორგანიზება (ფულადი სახსრების შეგროვების); საბანკო მომსახურება; საბანკო ოპერაციები ინტერნეტის მეშვეობით; საბანკო ოპერაციები ინტერნეტის მეშვეობით; სადებეტო ბარათებით მომსახურება; საკრედიტო ბარათებით მომსახურება; საკრედიტო

ბარათების გამოშვება; საკრედიტო სააგენტოები; საქველმოქმედო სახსრების შეგროვება; სესხები [დაფინანსება]; ფასიანი ქაღალდების გამოშვება; ფულადი სახსრების შეგროვების ორგანიზება; ფულის გადაცვლა“. რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი „UNIONPAY“ (IR 838484) დაცულია მე-9 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „მონაცემთა დამუშავების აპარატურა; კომპიუტერული პროგრამები, ჩაწერილი; იდენტიფიცირების ბარათები, მაგნიტური; ინტეგრალური სქემების ბარათები (ინტელექტუალური ბარათები, ჩიპ-ბარათები); ტელესკოპური (ოპტიკური) სამიზნეები ცეცხლსასროლი იარაღისათვის; ჩაწერილი პროგრამები (კომპიუტერული ოპერაციული); კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა (ჩაწერილი); კომუტაციური მოწყობილობები (მონაცემთა დამუშავების აღჭურვილობა); კოდირებული ბარათები, მაგნიტური; ინტერფეისის პლატები (კომპიუტერებისათვის); მონაცემთა მატარებლები (მაგნიტური); მაკოდირებელი მოწყონილობები (მაგნიტური); დამაგნიტების ნაკრებები (კომპიუტერებისათვის); მიკროპროცესორები; მონიტორინგის განმხორციელებლები (კომპიუტერული პროგრამები); მონაცემთა დამუშავების ცენტრალური ბლოკები (პროცესორები); ამომკითხვადი მოწყობილობები (მონაცემთა დამუშავების აღჭურვილობა); სკანერები (მონაცემთა დამუშავების აღჭურვილობა); ელექტრონული პუბლიკაციები (ჩასატვირთი); კომპიუტერული პროგრამები (ჩასატვირთი პროგრამული უზრუნველყოფა)“ და 36-ე კლასის მომსახურების შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „სადაზღვევო ანდერრაიტინგი; საფინანსო მომსახურება; საბანკო მომსახურება; ღირებულების შეფასება (ხელოვნების ნაწარმოებების); უძრავი ქონების სააგენტოები; საბროკერო მომსახურება; გარანტიებით (თავდებობით) უზრუნველყოფა; სახსრების მოზიდვა საქველმოქმედო ფონდებისათვის; ფიდუციალური მომსახურება; სახსრების გაცემა გირაოს უზრუნველყოფის სანაცვლოდ“. რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი „UnionPay“ (IR 907897) კი დაცულია მე-9 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „ყალბი მონეტების დეტექტორები; ფაქსიმილური აპარატები; სატელეფონო აპარატები; ხმის

ჩამწერი აპარატურა; გამზომი მოწყობილობები; ელექტრული გადამრთველები (ამომრთველები); ქურდობის საწინააღმდეგო აღჭურვილობა, ელექტრული; სათვალეები; გალვანური უჯრედები; ელექტრული უთოები; განცხადებების ელექტრონული დაფები; მექანიზმები აპარატებისათვის წინასწარი გადახდით, მოქმედებების (ღონისძიებების) ელექტრონული პროგრამები; სალაროს აპარატები; ოპტიკური დისკები; აუდიო-ვიდეო აპარატურა; ფოტოაპარატები; ინტეგრალური სქემები; ანიმაციური ფილმები“ და 36-ე კლასის მომსახურების შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „ელექტრონული სახსრების გადარიცხვები; დებეტური ბარათებით მომსახურება; საფინანსო მომსახურება; ფინანსური ინფორმაცია; ფანანსური კონსულტაციები; საკრედიტო ბარათების გამოშვება; საკრედიტო ბარათებით მომსახურება; იჯარის საფასურის აკრეფა; საბანკო მომსახურება; საკრედიტო ბარათებთან დაკავშირებული კვლევები; ფინანსური შეფასება (დაზღვევა, საბანკო მომსახურება, უძრავი ქონება); ფულის გაცვლა-გამოცვლა; საიუველირო ნაწარმის შეფასება; საბროკერო მომსახურება; სახსრების მოზიდვა საქველმოქმედო ფონდებისათვის; ლომბარდებით მომსახურება; „სადაზღვევო ანდერრაიტინგი“. აპელანტის განმარტებით, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალი მე-9 და 36-ე კლასების საქონლისა და მომსახურების მიმართ აღრევამდე მსგავსია. რაც შეეხება 35-ე კლასის მომსახურების ჩამონათვალს, რისთვისაც ასევე განცხადებულია სადავო სასაქონლო ნიშანი, ის შეიცავს ისეთ მომსახურებას, რომელიც დაკავშირებულია მაგალითად: „ფინანსებთან, ანგარიშების მდგომარეობასთან, ანგარიშის შედგენასთან, ანგარიშფაქტურის გამოწერასთან, აუქციონით გაყიდვასთან, ფასების შედარების სამსახურთან და ა.შ“. შესაბამისად, აღნიშნული მომსახურება დაკავშირებულია 36-ე კლასის მომსახურებასთან. სასაქონლო ნიშნებით „UNIONPAY“ (IR 838484) და „UnionPay“ (IR 907897) ნიშანდებული საქონელი და მომსახურება უკვე არსებობს ქართულ ბაზარზე და იგი სარგებლობს გარკვეული ცნობადობით, შესაბამისად, სადავო სასაქონლო ნიშნით „UniPAY“ (საიდ. N80013/03) ნიშანდებული საქონლისა

და მომსახურების ბაზარზე არსებობამ შესაძლოა გამოიწვიოს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა. აპელანტის განმარტებით, გასათვალისწინებელია უცხო ქვეყნების პრაქტიკა კერძოდ, ჩინეთის ტერიტორიაზე გასავრცელებლად წარდგენილ იქნა კომბინირებული სასაქონლო ნიშანი „Uni-Pay“ (IR 1188928) 35-ე და 36-ე კლასების მომსახურების მიმართ. ჩინეთის ინტელექტუალური საკუთრების უწყებამ უარი თქვა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე იმ საფუძვლით, რომ იგი მსგავსია სასაქონლო ნიშნებისა „UNIONPAY“ და „UnionPay“.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აპელანტი ითხოვს „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 16 ივლისის N1237/03 ბრძანების ბათილად ცნობას, რომლითაც სასაქონლო ნიშანზე „უნიფეი Unipay Унипеи“ (საიდ. N80012/03) მიღებულ იქნა დადებითი გადაწყვეტილება შპს „უნიფეის“ სახელზე მე-9, 35-ე და 36-ე კლასების განცხადებული საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალის მიმართ რეგისტრაციის თაობაზე.

დაინტერესებული მხარე, შპს „უნიფეი“ არ ეთანხმება სააპელაციო საჩივარს შემდეგ გარემოებათა გამო:

დაინტერესებული მხარის განმარტებით, დაპირისპირებული ნიშნები არ წარმოადგენენ აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს და განსხვავებულია დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალი მე-9 და 36-ე კლასების მიმართ. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები შეიცავენ ინგლისურ ენაზე შესრულებულ სიტყვას, რომლის ბოლო ნაწილია „Pay“. „Pay“ წარმოადგენს ინგლისურ სიტყვას და ქართულად ნიშნავს „გადახდას“. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განცხადებულია 36-ე კლასის მომსახურების მიმართ, რომელიც უკავშირდება ფინანსურ საქმიანობას, საბანკო მომსახურებასა და ფულად-საკრედიტო ოპერაციებს. „Pay“, ანუ „გადახდა“ აღნიშნული ტიპის საქმიანობისთვის წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ და ობიექტურ მახასიათებელს.

შესაბამისად, დაპირისპირებულ ნიშნებში შემავალი „Pay“ ცალსახად აღწერილობითია იმ მომსახურების მიმართ, რომლისთვისაც ნიშნებია განცხადებული. ნებისმიერმა განმცხადებელმა, რომ მოითხოვოს სიტყვა „Pay“-ს სასაქონლო ნიშნად რეგისტრაცია 36-ე კლასის მომსახურების მიმართ, საქპატენტი, მიიღებს უარყოფით გადაწყვეტილებას რეგისტრაციის შესახებ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რომლის თანახმად „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა რომელიც აღწერილობითია იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია, შედგება საქონლის მხოლოდ სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებისაგან ანდა მიჩნეულია ასეთად“. დაინტერესებული მხარის განმარტებით, მე-9 კლასით განსაზღვრული საქონელი პირდაპირ კავშირშია 36-ე კლასით განსაზღვრულ მომსახურებასთან კერძოდ, მე-9 კლასში შემავალი საქონელი თემატურად შეიძლება დაჯგუფდეს, როგორც აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებები, რომლებიც ემსახურება 36-ე კლასში შემავალ ფულადი, საკრედიტო, საბანკო და ფინანსური საქმიანობის სფეროებს. შესაბამისად, დაპირისაპირებული სასაქონლო ნიშნების მსგავსების დადგენისას არ უნდა იქნეს გათვალისწინებული სიტყვიერი ნაწილი - „Pay“, ვინაიდან, იგი აღწერილობითია მე-9 და 36-ე კლასებით განსაზღვრული საქონლისა და მომსახურების მიმართ და იგი დაპირისპირებულ ნიშნებში შესულია დაუცველი ნაწილის სახით. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საწყისი ნაწილები - „uni“ და „union“ საკმარისად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, როგორც ვიზუალური ასევე, ფონეტიკური თვალსაზრისით. სასაქონლო ნიშნების „UNIONPAY“ (IR 838484) და „UnionPay“ (IR 907897) შემთხვევაში თავსართი “Union”, გამოითქმის, როგორც “იუნიონ”. ხოლო სასაქონლო ნიშანში „უნიფეი Unipay Унипеи“ (საიდ. N80012/03) თავსართი „uni“ გამოითქმის, როგორც „უნი“. დაპირისპირებულ ნიშნებში

დამატებითი ბგერა - „ON“ საკმარის განსხვავებას სძენს სადავო და დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს. ნიშნებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება არის ისიც, რომ სასაქონლო ნიშანი „უნიფეი Unipay Унипеи“ (საიდ. N80012/03) რეგისტრირებულია ქართულ და ინგლისურ ენებზე, ასევე, კირილიცაზე, მაშინ როდესაც, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები რეგისტრირებულია მხოლოდ ინგლისურ ენაზე. დაინტერესებული მხარის მითითებით, ერთ-ერთი დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „UnionPay“ (IR 907897) წარმოადგენს კომბინირებულ სასაქონლო ნიშანს. იგი შედგება ინგლისურ და ჩინურ ენებზე შესრულებული სიტყვიერი ნაწილებისაგან, რომელიც ჩასმულია რომბის ფორმის ფიგურაში. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი - „UNIONPAY“ (IR 838484) წარმოადგენს არასტილიზებულ სიტყვიერ სასაქონლო ნიშანს, ხოლო მეორე დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი - „UnionPay“ (IR 907897) არის ერთიანობაში დაცული კომბინირებული სასაქონლო ნიშანი. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების განცხადებული საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალი არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან, ამიტომ ცალ-ცალკე უნდა მოხდეს განცხადებული სასაქონლო ნიშნის შედარება დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებთან. სასაქონლო ნიშნის „UNIONPAY“ (IR 838484) და განცხადებული სასაქონლო ნიშნის „უნიფეი Unipay Унипеи“ (საიდ. N80012/03) მომსახურების ჩამონათვალი 36-ე კლასის მიმართ ერთმანეთს ჰკვეთს მხოლოდ შემდეგ ნაწილებში: „ფინანსებთან დაკავშირებული საქმიანობა, საბანკო მომსახურება და საქველმოქმედო სახსრების შეგროვება“. ამასთან, ფინანსებთან დაკავშირებული საქმიანობა და საბანკო მომსახურება არის ზოგადი ხასიათის და სასაქონლო ნიშნის „UniPAY“ (საიდ. 80013/03) ჩამონათვალში განვრცობილი და დაკონკრეტებულია თუ რა მომსახურებები იგულისხმება მათში. ეს არის ძირითადად მომსახურებები და საქმიანობა, რაც უკავშირდება ფულადი სახსრების გადარიცხვას ელექტრონული ანგარიშის სისტემაში, ე.წ ელექტრონული საფულე. აღნიშნულისგან სრულიად განსხვავებულ ჩამონათვალს შეიცავს სასაქონლო ნიშნის „UNIONPAY“ (IR 838484) რეგისტრირებული მომსახურების

ჩამონათვალი. იგი მოიცავს დაზღვევის სფეროს, უძრავი ქონების სააგენტოებს, საბროკერო მომსახურებას, სესხების გაცემას და ა.შ. დაინტერესებული მხარის განმარტებით, განსხვავებული შემთხვევა იქნება სახეზე, თუ შედარდება „უნიფეი Unipay Унипеи“ (საიდ. N80012/03) და „UnionPay“ (IR 907897) 36-ე კლასის მომსახურების ჩამონათვალი. ამ ორი ნიშნის რეგისტრირებული მომსახურებების შედარებისას აღმოჩნდება უფრო მეტი მსგავსება, თუმცა აუცილებელია, რომ მოხდეს ნიშნების შედარება ერთობლიობაში. მართალია, ამ ნიშნების ჩამონათვალი უფრო მსგავსია ერთმანეთთან, თუმცა თავად ნიშნები ვიზუალურად და შემადგენლობით, მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. ერთის მხრივ, გვაქვს სტილიზებული სიტყვიერი სასაქონლო ნიშანი „Unipay“, შესრულებული სამ ენაზე, ხოლო, მეორეს მხრივ, კომბინირებული, სხვაგვარად სტილიზებული სასაქონლო ნიშანი „Unionpay“ ჩინური დამწერლობით, რომელიც ჩასმულია რომბის ფორმის შავ ფიგურაში და დაცულია ერთიანობაში და არა ცალ-ცალკე. ამგვარად, ამ ნაწილშიც ნიშნები საკმარისად განსხვავდებიან ერთმანეთისგან და არ იწვევენ აღრევამდე მსგავსებას. ამასთან, დაინტერესებულმა მხარემ სააპელაციო საჩივრის საქმის ზეპირ მოსმენაზე გამოთქვა თანხმობა შეზღუდოს განცხადებული ნიშნის 36-ე კლასის საქონლის ჩამონათვალი შემდეგნაირად: „ფულად-საკრედიტო ოპერაციები, კერძოდ, გადარიცვხა ელექტრონული ანგარიშების სისტემაში (ფულადი სახსრების), გადაცვლა (ფულის); დაფინანსება; ინვესტირება; კლირინგი; მართვა (ფინანსების); ორგანიზება (ფულადი სახსრების შეგროვების); სადებეტო ბარათებით მომსახურება; საკრედიტო ბარათებით მომსახურება; ფულადი სახსრების შეგროვების ორგანიზება; ფულის გადაცვლა“. დაინტერესებული მხარის განმარტებით, სრულიად უსაფუძვლოა აპელანტის მოთხოვნა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ ბრძანების სრულად ბათილად ცნობასთან დაკავშირებით. სასაქონლო ნიშანი „უნიფეი Unipay Унипеи“ (საიდ. N80012/03) რეგისტრირებულია ასევე 35-ე კლასში, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები - მხოლოდ მე-9 და 36-ე კლასებში. შესაბამისად, აპელანტის მოთხოვნა სასაქონლო ნიშნის 35-ე კლასში რეგისტრაციის

ბრძანების ბათილობასთან დაკავშირებით, ცალსახად უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაინტერესებული მხარე ითხოვს გასაჩივრებული ბრძანების ძალაში დატოვებას და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, შესაგებელი საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

სააპელაციო პალატის კოლეგია არ იზიარებს აპელანტის არგუმენტაციას იმასთან დაკავშირებით, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია, როგორც ვიზუალური, ისე ფონეტიკური თვალსაზრისით.

სადავო სასაქონლო ნიშანი „უნიფეი Unipay Унипеи“ (საიდ. N80012/03) წარმოადგენს ლათინური სტილიზებული ასოებით შესრულებულ სიტყვიერ სასაქონლო ნიშანს.

დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „UNIONPAY“ (IR 838484, საერთ. რეგ. და გავრცელების თარიღი 2004 წლის 19 მაისი) წარმოადგენს სტანდარტული ლათინური ასოებით შესრულებულ სიტყვიერ სასაქონლო ნიშანს. მეორე დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი

(IR 907897, საერთ. რეგ. და გავრცელების თარიღი 2006 წლის 16 იანვარი) წარმოადგენს კომბინირებულ სასაქონლო ნიშანს. ნიშანი შედგება ინგლისურ და ჩინურ ენაზე შესრულებული

სიტყვიერი ნაწილებისაგან, რომელიც მოთავსებულია სამ ფერში შესრულებულ რომბის ფორმის ფიგურაში.

დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავებულია ვიზუალური თვალსაზრისით, რადგან სადავო სასაქონლო ნიშანი შედგება ექვსი ასოსაგან, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „UNIONPAY“ (IR 838484) შედგება რვა ასოსაგან. სასაქონლო ნიშანი „UNIONPAY“ (IR 838484) დამატებით შეიცავს ორ ასოს - „ON“. ამასთან, განცხადებულ და დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებში სიტყვიერი აღნიშვნა „PAY”, რომელიც ქართულად „გადახდას“ ნიშნავს, მსგავსი მომსახურებისათვის წარმოადგენს დაუცველ სიტყვიერ ელემენტს. აქედან გამომდინარე, ნიშნების შედარებისას უნდა შედარდეს მათი დაცვისუნარიანი ელემენტები „UNI“ – „UNION“, რომლებიც განსხვავდება ერთმანეთისაგან.

რაც შეეხება მეორე დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის

(IR 907897) და სადავო სასაქონლო ნიშნების ვიზუალურ განსხვავებას, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი კომბინირებულია და ჩინურ ენაზე შესრულებულ სიტყვიერ ნაწილთან ერთად, რომელიც ასევე გამოსახულებად აღიქმება შეიცავს ლურჯ, წითელ და მწვანე ფერში შესრულებულ რომბის გამოსახულებას, რაც სძენს ნიშნებს საკმარის განსხვავებას, რომ არ მოხდეს მათი აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა.

დაპირისპირებული ნიშნები განსხვავებულია ფონეტიკური თვალსაზრისით, ვინაიდან სადავო სასაქონლო ნიშანი გამოითქმის, როგორც „უნიფეი“, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები - „იუნიონფეი“.

დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავდებიან სემანტიკურად, რადგან განცხადებული ნიშანი „UniPAY“ აღნიშნავს უნივერსალურ გადახდას, ხოლო რეგისტრირებული ნიშნები „UNIONPAY“ ნიშნავს გაერთიანებულ გადახდას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კოლეგიას მიაჩნია, არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით

გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნის „უნიფეი Unipay Унипеи“ (საიდ. N80012/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის N02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ჩაინა იუნიონფეი კო., ლტდ.“ (CHINA UNIONPAY CO., LTD.) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს ,,სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 16 ივლისის N1237/03 ბრძანება.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. N17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:	ს. მუჯირი
წევრები:	ი. გიქორაშვილი
	მ. ჭიჭინაძე